

## ხვალინდელ სპორტიელში



# სიზანნიშვილის მეორე შანსი

## ჩაქური თოფის ნაცვლად

ზურაბ სიზანნიშვილი გუშინ ლონდონს გაემგზავრა, ცხადია, არა საშობაო არდადეგების გასატარებლად, მაგრამ არც ლონდონის „არსენალში“ ჩასარიცხად.

„სარბიელის“ მკითხველთათვის უკვე კარგად ცნობილი მიზეზთა გამო თბილისის „ლოკომოტივის“ და საქართველოს ნაკრების 19 წლის მცველის ტრანსფერი ინგლისურ გრანდში არ შედგა. მაგრამ პრემიერლიგური კლუბების ინტერესი ახალგაზრდა, ნიჭიერი ქართველისადმი კვლავინდებურად არსებობს და ლონდონის „ვესტ ჰემსი“ მთავარი მწვრთნელის, პარი რედნაპის მიწვევაც ამის დასტურია.

— ზურა დღეს წავიდა ლონდონში — გვითხრა გუშინ მამამისმა, ნოდარ სიზანნიშვილმა — მისი პირადი აგენტის, ათოლ სტილის რა-

მდენიმე წინადადებიდან, რომელთა შორის იტალიური კლუბებიც იყო, ჩვენ სწორედ „ვესტ ჰემ იუნაიტედის“ ვარიანტი ვარჩიეთ.

არ დავიმალოთ, ათოლ სტილის ისე ვენდობით, მისი აზრიც გვანტერესებდა და, რაკი არჩევანი მანაც მოგვიწონა, დიდხანს არ გვიფიქრია.

— „ლოკომოტივში“ თუ იციან ამის თაობაზე?

— მიწვევა ზურას პირადად მოუვიდა, მაგრამ ფაქსი კლუბშიც მივიტანე და საქმის კურსში ჩავაყენე.

— როდის გადაწყვეტენ ინგლისელუბი, დაიტოვებენ თუ არა ზურას?

— ყველაფერი ალბათ ორ კვირაში გაირკვევა. „ვესტ ჰემსი“ დაინტერესება დიდი კია, მაგრამ ჯერ მაინც გასინჯავენ, კიდევ დააკვი-

რდებიან და საბოლოო პასუხს მერე იტყვიან.

— ამდენი გასასინჯიც რაა?

— ჩემი შვილის ავ-კარგი ჩემზე უკეთ ვინ იცის. გაუსინჯავდ მხოლოდ ფიგურს დარ ფეხბურთელებს ვიდულობენ.

— ორი კვირა მაინც დიდი დროა საიმისოდ, რაიმე გაუთვალისწინებელი მოხდეს. დაფუშვით, იმის შესავსი, როგორიც „არსენალის“ ვარიანტის გამოჩენისას.

— ახლა ყველამ იცის, როგორი კონტრაქტი ჰქონდა ზურას „ლოკომოტივთან“, ფედერაციაც საქმის კურსშია, ფიფაც და იმედია, „ვესტ ჰემში“ მის გადასვლას ხელს ასეთი პრობლემა არ შეუშლის.

იხილეთ მეორე გვერდი

### EXCLUSIVE

კობა ინასარიძის

## ინტერვიუ ანდრეი

### მევერენკოსთან

● ძალიან მსურს, ევროპის ბუკეთესო ფეხბურთელი გავხდე...


● ბატისტუტა წინა ეზონშიც ბომბარდირობას ეცილებოდა, მაგრამ მაინც ბჯობე...

● ალბერტინისთან რთიერთობა ძალიან სიაბოვნებს...

● ვამაყობ, ვან ბასტენს რომ მადარებენ. როცა ის მილანში „ბრწყინავდა, მე ბრინჯის ბლოხინის, რთიერთობისა და რთიერთობის თამაშებს უყურებდი...

● როცა თავისუფალი რთი მატქეს, მონტე კარლოში, მატქეს სახლში ჩავდივარ ანდრეი მედვედევთან რთად ჩოგბურთის თამაშობ...

● მილანში უკრაინიდან რთი მოძღვარი მესტუმრა...



კაუნასური ლიტვა — საქართველო 0:4. ნავარსკვლავერი ვალდას ივანაუსკასი (№8) და სავარსკვლავეო ზურაბ სიზანნიშვილი

# შერიფი არიფი არ არის ტორაქტი მოღვაწეებთან ქართულთა დახსნას ცდილობს

საქართველოს ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო“ რუსეთში, მოღვაწეებსა და ისრაელში მოთამაშე ქართველი ლეგიონერების სამშობლოში დაბრუნებას აპირებს. ამ საქმის გადაწყვეტას თურმე ბევრიც არაფერი უდვას წინ.

როგორც ფიფას ერთადერთმა ქართველმა აგენტმა ილია კოკაიამ გვითხრა, ვლადიკავკაზის „ალანისთან“ კონტრაქტამოწერილი მიხეილ აშვეთია თანახმაა მშობლიურ „ტორპედოში“ ითამაშოს. ის ქუთაისელებთან პირობებზე უკვე შეთანხმებულა, მაგრამ „ტორპედოს“ „ალანისთვის“ საკომპენსაციო თანხა მაინც ექნება გადასახდელი.

ილია კოკაიას თქმით, ის და „ტორპედოს“ ხელმძღვანელობა ტირასპოლის „შერიფის“ პრეზიდენტსაც მოელაპარაკებიან, რომელიც დღეს საქართველოში უნდა ჩამოვიდეს. ქართველებს „შერიფიდან“ ვაჟა თარხნიშვილის და დავით მუჯირის გამოისყიდვა სურთ.

— მოღვაწეები მუჯირსა და თარხნიშვილს იოლად არ შეეცდვიან, მაგრამ იმედი გვაქვს, „შერიფის“ პრეზიდენტთან მოლაპარაკება ქართული მხარისთვის სასარგებლოდ დამთავრდება — გვითხრა აგენტმა.

ერთი თვის წინ ასევე მოღვაწეებს „შერიფიდან“ ქუთაისში ჩამოსულ უკრაინელ ანდრეი პოროშინს კი „ტორპედოს“ მწვრთნელთათვის თავი ისე მოუწონებია, ამ ზამთარს, უცხოურ შეკრებაზე, ისიც „ტორპედოში“ იქნება — თანაც ის უკვე „შერიფს“ აღარ ეკუთვნის, რაკი კონტრაქტი გაუსრულდა.

ასევე კოკაიასგან შევიტყვეთ, რომ ალბათ მშობლიურ „ტორპედოსვე“ დაუბრუნდება თბილისის „დინამოს“ ყოფილი კაპიტანი, ქუთაისელი გივი დიდავა, რომელსაც ებრაულ თელ ავივის „მაკაბიში“ საქმე ვერ აეწყო.

კობა ინასარიძე

ნერიუს კოსმინასის ფოტო

# გურამ რუსაშვილი შეუღლით, ზიუჯები სავსე



ზურაბ ხიზანიშვილი ახლა უკვე „ვესტ ჰემში“ ვარჯიშობს

მეოთხე ადგილი საშემოდგომო ეტაპზე და თასის ნახევარფინალში მოხვედრა. მიღწეული ურიგო შედეგად ვერ ჩაითვლება, მით უმეტეს, როცა ჯერ ყველაფერი წინაა და წინსვლის პერსპექტივაც ერთობ რეალურია. საფეხბურთო კლუბ „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტთან სასაუბრო ბევრიც არაფერი გვექონდა და არც ინტერვიუ იყო გურამ რუსაშვილთან დაგეგმილი, მაგრამ საფეხბურთო წრეებში გატონილმა ინფორმაციამ, ვეტერინარულ კლუბს ფინანსურად გაუჭირდაო, „ვიტ ჯორჯიას“ ოფისში მიგვიყვანა. გურამ რუსაშვილს ტრადიციულად გულთბილად მიგვიღო, ჩვენი კითხვა რომ მოისმინა, გაკვირვებულმა გადმოგვხვდა. მერე კითხვას კითხვა მოჰყვა და ინტერვიუც შედგა.



## სიზანისუფილის ბეორა შანსი ჩაქური თოფის ნაცვლად

დასაწყისი პირველ გვერდზე

მართლაც, თბილისის „ლოკომოტივის“ და ზურაბ ხიზანიშვილის არასრულფასოვანი კონტრაქტის ძალით ფეხბურთელის დაკავება მხოლოდ ჩალით დახურულ ქვეყანაში თუა შესაძლებელი. ამის თაობაზე უკვე ფიფას მთავარმა სტატუსის იურიდიულ სამსახურშიც უწყიან და თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ფეხს არ ითრევს, ცარიელი კონტრაქტის ასლი უკვე ციურისში უნდა იდოს.

ნიშვილისთვის ურიგო ვარიანტი ნამდვილად არც „ვესტ ჰემი“ საშუალოდ ახალგაზრდული „ჩაქურები“ ამჟამინდელ პრემიერლიგაში მეშვიდე ადგილზე არიან და ასეთ გუნდში დამკვიდრების და ძირითად შემადგენლობაში თამაშის შანსიც მეტია.

ერთი სიტყვით, ეს ხუმრობით და, სერიოზულად კი ხიზანიშვილის აგენტმა ათოლ სტილიმ თავი იმართლა, აქამდე ასე ვიცოდი, ჩემი კლიენტის თავისუფალი აგენტი გახლდათ და ვალდებული არ იყო, უეფას თასზე „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში ეთამაშა. თუ ჩემს სიტყვებში ეჭვი გეპარებათ, გეთყვით, სთხოვეთ ქართველებს იმ კონტრაქტის ასლი, რომლის საფუძველზეც ხიზანიშვილზე საკუთარი უფლებების კანონიერებას ასაბუთებენო.

თუკი ზურაბ ხიზანიშვილი ვესტჰემელი გახდა, ის ოთხმოცდაათობის ერთადერთი განმეორება როდი იქნება, მაშინდელი „ვესტ ჰემის“ მცველის (ახლა პარი რენაბის თანაშემწეა) სენია ვაჟი ფრენკ ლამპარდი ჩაქურების ნახევარდაცვის ლიდერია.

— მაშ, ფინანსური პრობლემებით, რომ მიკვირს, საიდან წამოვიდა მსგავსი ხმები. პირველად ახლა თქვენი განმეორება, სხვაგან ყური არსად მომიკრავს. კი, ბატონო მოფინით საქმეს ნათელი. „სარბიელთან“ ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში განვაცხადე „ვიტ ჯორჯიას“ ბიუჯეტის ზრდის შესახებ. ჩვენ შეიძლება შეგვიქმნას პრობლემები, მაგრამ გარწმუნებთ, არა ფინანსური ბიუჯეტი რეალურია და მისი ნაწილი უკვე გაიხარჯა კიდევ ყველაფერს რომ თავი ვაჩვენოთ, „ვიტ ჯორჯიას“ ჰყავს სერიოზული პარტნიორები და სპონსორები. „კელმე“ ავიღოთ, სულ ახლახან მივიღეთ 440 წყვილი მისური, ტრუსი და გეტრი. აგრეთვე სხვა აუცილებელი სპორტული ინვენტარი. ჩვენთანაა ამერიკული კორპორაცია „ვაითპოლი“ და გერმანული „შევე გრუპი“. სწორედ „შევე გრუპი“ აფინანსებს „ვიტ ჯორჯიას“ სასაფხულო შეკრებებს გერმანიაში.

გავისწავლოთ ის მატჩები, სადაც ქულები დაეკარგეთ. სამინაო მარცხი „სინთან“, ფრე „სინათლეზე“, დამარცხება „კოლხეთთან“, ვერმოგება ბოლნისში კაცნაკლულ მელტოქესთან და დიდი ანგარიშით წაგება „დინამოსთან“.

— ალბათ, ამანაც გამოიწვია ცვლილებები მწვრთნელთა კოპუსში.

— ეს ასეა, ჩვენ დიდებული ურთიერთობა გვაქვს ვლადიმერ ხაჩიძესთან და ვფასებთ მის ნაშრომს. ახალგაზრდული გუნდია „ვიტ ჯორჯიას“ და ხაჩიძეც, როგორც მწვრთნელი, ახალგაზრდა მოგესხენებათ, ის თავის დროზე მერე მწვრთნელი იყო, მერე პირველობა ვანდო, მაგრამ გუნდის ზრდის პროცესში გაუსწრო მწვრთნელის ზრდის პროცესს. ამიტომ „ვიტ ჯორჯიას“ ინტერესებიდან გამომდინარე, ხაჩიძესთან განშორებამ მოგვიწია.

— რა ცვლილებები მოსალოდნელია „ვიტ ჯორჯიასში“?

— უპირველესად იმას მოგახსენებთ, რომ მთლიანად ჩამოყალიბდა სამწვრთნელო კორპუსი. გუნდს თემურ მახარაძე უთავაყავს და ამაში არაფერია ახალი. დამხმარეები კი საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მცველი გიორგი ნადირაძე და ისევ ვეფხია გვენცაძე იქნებიან. თემურ მახარაძემ გვითხრა, რომ იგი მთლიანად ენდობა „ვიტ ჯორჯიას“ დღევანდელ შემადგენლობას, არ იქნება მნიშვნელოვანი ცვლილებები. შესაძლოა, მხოლოდ ორი ფეხბურთელი დავიმატოთ. ერთი წუთითაც არ შეგვიწყვეტია სასულეციო სამუშაოები. ჩვენი ფარმ-კლუბისთვის თითქმის მთელ საქართველოში ვეძებთ 1982-83 წლებში დაბადებულ ახალგაზრდა მოთამაშეებს. დღეს, გუშინ და გუშინ ტესტ-მატჩები ჩავატარეთ. სასურველ კანდიდატებს ვარჩევდით. მსგავსი დეკრეტები 15 და 18 დეკემბერსაც მოეწყობა.

— აქამდე გუნდს ვარჯიშები შეუწყვეტია. მერე ათდღიანი პაუზი იქნება, თან „ვიტ ჯორჯიას“ სპორტსა სასახლეში, „ბენდელას თასზე“ ითამაშებს. 5 იანვრიდან ინტენსიურ მზაბას ვიწყებთ, რასაც საქართველოს ორკვირიანი შეკრება მოჰყვება. — გილს მოგვიანებით შევარჩევთ. მერე რებიდან თბილისში დაებრუნდებით. ნერის ბოლომდე აქ მოვემზადებთ. 5 იანვარს კი იტალიაში, უმბრიის მხარეში, „ფატროს“ შემწვობით „ვიტ ჯორჯიას“ 32-კაციანი დელეგაცია ორკვირიანი შეკრებაზე გაემგზავრება. ზამთრის ტურნირშიც მივიღებთ მონაწილეობას, სადაც ჩვენთან ერთად მდებნიმ ტიტულთან გუნდებიც იასპირებებს. ჩვენი ინფორმაციით, ერთ-ერთ მათგანი მოსკოვის „სპარტაკია“ 12 ბერვალს თბილისში დაებრუნდებით. ჩემპიონატის განხილვებამდე დღევანდელ ვივარჯიშებთ.

— საშემოდგომო ეტაპმა გარკვეული მონახაზი გამოაჩინა. „ვიტ ჯორჯიას“ კონკურენტები მრავლად შეიქმნა. სეზონის წინ დასახული მიზნები ზომ არ შეცვლილა?

— არა. პროგრამა-მიზნები ისევ უფას თასის საგზურის მოპოვება გვალავთ, მაქსიმუმ კი თასის დასაპირება და ჩემპიონობა, თუმცა ამ უკანასკნელს თუ ვერ გავვლავდით, ამისგან ტყვედვას არ შეგვქმნით.










ლიგა არდადეგაზე გრძელდება



ფეხბურთის მსოფლიო ლიგის მონაწილე ქვეყნებში...

ფეხბურთის მსოფლიო ლიგის მონაწილე ქვეყნებში...

პრეზიდენტმა ლენარტ იუანსონმა...

უფრო მეტი მოხერხებულობა...

გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი...

ყოველწლიურად უნდა შეიქმნას...

ბოლოს განვიხილოთ...

გიორგი ღაჩუაძე

ბონუსები



ზრახვი ნახევარმცველი ემანუელ პეტი...

„სუთი თვალი, კატალინაში ვარ და უკვე ჩემს თავს ვეკითხები...“

მიკლელე ლორენს სერა ფერერზე განაცხადებს...

ივან დედა პენისა გი საერთოდ ვერ გაუგია...

მოდო, ვნახოთ ნაიკი

„უმბრო“, „ადიდასი“, „ლოტო“ და პრეზიდენტთა ანგარიშები

ბრაზილიურ ფეხბურთში არსებული ქაოსის შესახებ...

განდერლეი ლუქსემბურგის საბანკო კარიერაში...

ბრაზილიელი დიდი მფლობელების მიღებით...

საფეხბურთო მატჩების ტელეტრანსლაციის უფლებასაც...

უმედიკო მოხერხებულები ბიზნესმენის ადგილი რიკარდო ტეიშეირამ...

კონგრესმენებმა ტეიშეირას უთხრეს...

ნია, ამბობს — ჩვენს ფეხბურთს „ნაიკი“...

ტეიშეირა აღმოუტყდა: „სპონსორთან ასეთი ბრწყინვალე შეთანხმება ჩვენს გარდა არავის აქვს...“

„შვიდ მილიონს, ხოლო პოლანდია, სხვათა შორის, ასევე „ნაიკისგან“ — მხოლოდ ხუთს...“

რიკარდო ტეიშეირას არაფრის უმინია და იქით უტყვის კომისიას...

დაბოლოს: ქართველები „ლოტოსგან“ მხოლოდ ბუკეტსა და მაისურებს იღებენ...

გიორგი ღაჩუაძე

ზრახვი უმბროს სეზონის რეზიუმე

მაღალი ორი ახალი მოთამაშე შეიმატოს გუნდს...

ფეხბურთის რეზიუმე

ფეხბურთის რეზიუმე, მსოფლიო ფეხბურთის მდინარეების მიმოხილვა...

ნიტელ-ჟპოტელი გინება



ამბავი ტოტალიტატორში არამოთამაშეთაც დაინტერესებს.

14 ოქტომბერს „ნოთს ქაუნთი“ „მედოუ ლინზე“ (ამათი სტადიონია) „უოჯანს“ უმასპინძლა...

აქვე ერთ პრემიერლიგურ ამბავზეც ვთქვათ. გასულ კვირას „ლესტერის“ კაპიტანმა მეტ ელიოტმა...

„ნიტელ-ჟპოტელი“ გინება... დიდი მფლობელების მიღებით...

ლიტვილი ფორვარდი ტომას დანილენიუსი „ბარსელონაში“ შევიდა...

ზრახვი უმბროს „ლესტერს“ რამდენიმე კვირით ნახევარმცველი ოლივიე კაპო...

ჩინური საფეხბურთო კლუბი „ტენტეიკი“, არ გააფიქრებდით და, რუსეთის მომავალ ჩემპიონატში...

ჩინური „სპარტანს“ ნახევარმცველ ტომას როსიკის „ინტერი“, „ლაციო“, „პარი სენ ჟერმენი“...

რუსეთის ჩემპიონი „სპარტაკი“ ვეტერანი მცველ ივანოვს ბუმბინოვს გაყიდეს...

იტალიაში ტავდამსხმელმა მარკო სიმონემ თქვა, რომ „მონაკოდან“ წასვლას არ აპირებს...

საზოგადოლო, ინგლისის მეორე დივიზიონში მომხდარ...





# რადუჩანი უზენაესას არ შეიწყალა



რადუჩანისთვის ჩამორთმეულ ოლიმპიურ ოქროს რუმინელები დღესაც მისტირებიან



მატებული უპოვეს. მიუხედავად ამისა, ოლიმპიურ ოქროსაგვირგვინი მოჭიდავე თავის უდანაშაულობას ამტკიცებს, ოღონდ სამართალს კი არ ეძებს, იმედი აქვს, იქნებ შემისწავრონო. თუმცა გერმანული საჭიდაო ოფიციაში შეუვალია. „თუ ათლეტი საერთაშორისო ფედერაციამ მოკვია, მას ეროვნულ ასპარეზზე გამოსვლაც ეკრძალება — აღნიშნავს გერმანიის ჭიდაობის ფედერაციის (დრბ) გენერალური მდივანი კარლ მარტინ დიტმანი — ჩვენი პოზიცია ურყევია“. ურყევობაზე კიდევ იმას მოგასხენებთ, რომ დიტმანზე მაღალი პერსონა, ფედერაციის პრეზიდენტი, ჰელმუტ პაული უფრო ლიბერალი უნდა იყოს. „ამ თემაზე ლაპარაკის დაწყება ახლა არა და ერთ წელიწადში შესაძლებელია — უთხრა მან „როიტერს“ — მაშინ იქნებ ლეიბოლდის თხოვნა დავაკმაყოფილოთ“.

ლოპინგის თემას ყვითელი ბარათების ამბით ამოვწურავთ, რომელიც გუშინწინ სოკო-მა დოპინგ-კონტროლის 11 ლაბორატორიას უჩვენა. ბანკოკელ, გენტელ, ლოზანელ, ლისაბონელ, მადრიდელ, მონრეალელ, მოსკოველ, პარიზელ, პენანგელ, პრადელ და რომაელ დოპინგზე მონადირეებს ტესტირების სამეცნიერო ხარისხს კი არა, ორგანიზაციულ მიდგომას უწუნებენ. „არსებობს სპორტსმენის გასინჯვის პროცედურული სტანდარტი — გვამცნობს ნახსენები კარარი ლოზანიდანვე — ნიმუშების წესიერად აღებას, დაცვასა და შენახვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ზოგიერთები კი ამას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ“. გამოსწორების ვადა შერისხულეებს 2001 წლის 1 მაისამდე აქვთ, ხოლო მეტე წითელი ბარათები იქნება, რაც უწესოებს ტესტირების უფლებას ჩამორთმევს.

დავით ბულუა

# დიდი კასის დიდი ტრაგედია

უბედური კაცი ყოფილა ლეგენდარული მოკრივე, 80 წლის სემ ლოქსტონი: 40-იანი წლების შეუღარებელ ავსტრალიელ სპორტსმენს სამშაბათს ცოლიც დაეღუპა და შვილიც, თან სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა მიზეზით.


პირველი ტრაგედია სამის თხუთმეტ წუთზე დატრიალდა, როდესაც ქვიზლენდის ოქროს სანაპიროზე აშენებულ საგვარეულო სახლში, აუზში ცურვისას, მეუღლე ჯოანა დაეღუპა. როგორც ამბობენ, ჯოანა ლოქსტონს წყალში ჩასვლამდე ფეხი დაცდენია და რადაციისთვის თავი დაურტყამს.

მეორე ტრაგედია კი ამ შემთხვევიდან თხუთმეტი წუთის შემდეგ მომხდარა: ლოქსტონის 47 წლის ვაჟი, მაიკლი, ფიჯიზე ექსპეტრიანი ზეიგენის მსხვერპლი ქცეულა.

ბერიკატის სანუგეშოდ საგვარეულო სახლში მისი გერი ჯულია შილსი და სხვა ნათესავები შეიკრიბნენ. — მას დედა და კრიკეტი უყვარდა, დღეს კი უბედური კაცია — განაცხადა გერმა.

ბასა ხუციანი

# რესტორანი მზიანი ღამე



განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული სარისხით  
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

- \* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
- \* ვსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3  
(ყოფილი სირაკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვინდეთ: კმაყოფილი დარჩებით
















REUTERS მიუნხენიდან



### თუ ბასკი ხარ...

იყო ასეთი დროც: ფრანგი და წარმომავლობით ბასკი ბიქსენტ ლიზარაზუ ბილბაოს „ატლეთიკოში“ თამაშობდა. მანამდე კი ბიქსი ბორდოელი იყო და იქ ყველანაირად აცხადებდა თავის ბასკობას, თავისუფალი ბასკეთის დროშას აფრიალებდა. ისტორიულ სამშობლოში მოხვედრილ ლიზარაზუს უფრო დიდი ფეხბურთის თამაში მოუნდა და მიუნხენის „ბაიერნი“ გადაბარგდა. სწორედ მიუნხენში ესმის ძალად თუ მართლა ბასკ ლიზარაზუს მუქარით აწვრილებული მობილურის ხმა: ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია ეტა ბიქსენტს ემუქრება, შენისთანა მამულიშვილების ასე და ისე, თუ ბასკი ხარ, მოგვეხმარე, არადა ჩვენ ვიცითო.



### ტორენტო ელის

ლოზანაში ოლიმპიური ლაპარაკები მიმდინარეობს. 2008 წლის თამაშების მასპინძლობა კანადურ ტორენტოს განუზრახავს. ამიტომაც ჩასულან შვეიცარიაში ხუთვზის ოლიმპიური ჩემპიონი ველომეტრეკე შერმან კრუკის (მარცხნივ) და ტორენტოს მუცელ ლასტენი.

REUTERS ნიუ იორკიდან



### პატრიკი სათავეში

ეს ქალბატონი კვი მაკინროი გახლავთ, ეს კაცი კი მისი ვაჟი პატრიკი. პირველი განთქმული ჩოგბურთელის ჯონ მაკინროის დედაა, მეორე კი — ქმა. მთელი ამბავი კი ის არის, რომ პატრიკი ამერიკის საჩოგბურთო ნაკრების კაპიტნად დაინიშნა და დევისის თასზე გაუძღვება გუნდს. ამ თანამდებობაზე მან ქმა, ჯონი შეცვალა. ორი წელიწადია, რაც პატრიკი საბოლოოდ დაეთხოვა თამაშს და ჩოგბურთის უპოპულარესი ტელეწამყვანი შეიქნა. იგი ამერიკის სადევისო ნაკრების ოცდამეთერთმეტე კაპიტანია.

### ხრისტო სამუგლოვი

მუშაობს პლოგდივში ჩასულა მსოფლიოში ყველაზე განთქმული პლოგდიველი, აწ „ჩიკაგო ფაიარში“ მოთამაშე ხრისტო სტოიჩკოვი. ხრისტო პლოგდივში თავისი ძველი ძმაცის, ფიფას მსაჯის, ათანას უზუნოვის პატივსაცემი თამაშის გამო ჩასულა. ეს უზუნოვი ერთი თვეა მსაჯობიდან გადამდგარა და ახლა გამოსათხოვარ მატჩს იმსაჯებს.



### ბელგიური წულეები

ბელგიის საუკეთესო მძლეოსნებს თქონს წულეები გადაეცათ. ტრადიციულ ცერემონიაზე ჯილდოები ქალმა ვერლე დეჟაიერმა და კაცმა მოპამედ მურიტმა მიიღეს.



**სარბიელი**  
საორტული გაჯეთი  
გამოიცვამა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გამოდის სამშაბათს,  
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,  
პარასკევის და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჳონხვერია  
დირექტორი ბიორგი ოპრომჭაღლიძე  
რედაქტორი თამაზ მიხრიაული  
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მამკელია  
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორიძე  
კალაბურთის რედაქციის რედაქტორი მირაბ რატიშვილი  
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბუიკაძე, სოლომონ გულისა-  
შვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაყიძე, კობა ინასარიძე,  
მამუკა კვანტალიანი, პატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე  
ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, და-

ვით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდი-  
ლ სვანიძე, კალაბურთის რედაქცია გიო ასვლედიანი, გიორგი  
ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში  
იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლონჯაშვილი,  
ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბიანიძე, ნათელა გიორგ-  
ობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია  
ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი,  
კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი,  
მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ ში-  
ლაშვილი, გურამ ხელაშვილი  
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ალექსანდრე  
შაზბაძის გამზირი 42, II  
კორპუსი, IV სართული.  
საზოგადოებრივი მისამართი:  
თბილისი — 79, საზოგადოებრივი  
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა  
sarblieli@gol.ge  
ელექტრონული ვებ-გვერდი  
<http://www.sarblieli.com.ge>